

დეკანი
ასოცირებული პროფესორი მარინა ციმაკურიძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
„ქართული, როგორც მეორე ენა“
პროგრამის ხელმძღვანელი დარეჯან კუხიანიძე

პროგრამის დასახელება - ქართული, როგორც მეორე ენა

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა - პროგრამა მოიცავს 60 ECTS კრედიტს. 30 ECTS კრედიტს გადიან პირველ სემესტრში, ხოლო 30 ECTS კრედიტს – მეორე სემესტრში. პროგრამის ხანგრძლივობა - ერთი წელი (2 სემესტრი).

სწავლების ენა - ქართული ენა

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება. პროგრამამ უნდა უზრუნველყოს კურსდამთავრებულის მიერ ქართული ენის იმგვარი ცოდნა, რომ მან შეძლოს:

- ქართულ ენაზე ეფექტური კომუნიკაცია;
- სხვადასხვა ტიპის (ზეპირი, წერილობითი) ტექსტის ადეკვატურად გაგება და შექმნა; (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის გააზრება);
- სალექციო/პრაქტიკული/ლაბორატორიული/სასემინარო კურსების მოსმენა, გააზრება და შესწავლა არჩეული სპეციალობის მიხედვით;
- განსხვავებული კულტურის, აზრის პატივისცემა, იყოს მეტად ტოლერანტული;
- ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად (“სწავლის კომპონენტი”).
- ზეპირი და წერილობითი ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გაგება და გააზრება (დისკურსული კომპეტენცია);
- მოცემულ სოციალურ გარემოში პიროვნების ადეკვატური თვითგამოხატვის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი უნარების დაუფლება და გამოყენება (სოციალური კომპეტენცია);
- მოცემულ სოციოკულტურულ გარემოში (ქართული ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებით) თავისუფლად ორიენტირება: აზრის გამოთქმის, კამათის, დისკუსიისა და პრეზენტაციის სტრატეგიების დაუფლება და გამოყენება (სოციოკულტურული კომპეტენცია);

პროგრამის დახასიათება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ქართულის, როგორც მეორე ენის, სასწავლო პროგრამა განკუთვნილია იმ არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ვინც საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვის

წესის თანახმად მოხვდა აღნიშნულ უნივერსიტეტში. ესენი არიან საქართველოს მოქალაქე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლობდნენ და საგანმანათლებლო სივრცეში ქართულის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ცუდად ფლობენ სახელმწიფო ენას.

ქართული ენის ცენტრი უზრუნველყოფს ქართულ ენაში სტუდენტთა იმგვარ მომზადებას, რომ სტუდენტს საკმარისად ჰქონდეს განვითარებული ენობრივი და საკომუნიკაციო უნარები იმისათვის, რომ შეძლოს უმაღლეს სასწავლებელში მისთვის სასურველ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა ქართულ ენაზე (მეცადინეობების შინაარსის მოსმენა-გაგება, სწავლა და კომუნიკაციის დამყარება პროფესორ-მასწავლებლებთან და თანატოლებთან). ასევე, შეძლოს ქართულ ენაზე წარმატებული სოციალური და პერსონალური ურთიერთობა, დარგობრივი ლიტერატურის დამუშავება, გადმოცემა და პრაქტიკაში გამოყენება, ქართული ენის ცოდნის და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად.

პროგრამა შედგება 18 სილაბუსისგან. პირველ სემესტრში სტუდენტები გაივლიან ექვს-კრედიტიან კურსს(თითოეული კურსი წარმოდგენილია ორ ვერსიად: A და B ბლოკის კურსები.თითოეულ ბლოკში გადანაწილება ხორციელდება პრეტესტის შედეგების საფუძველზე – შემსწავლელის საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელ ბლოკზე ჩაირიცხება სტუდენტი).

A ბლოკზე სწავლება ხორციელდება მეტი საკონტაქტო საათის საფუძველზე (A ბლოკში თითოეული კურსი კვირეული 5-საათიანი საკონტაქტო საათით განისაზღვრება; კურსი ინტენსიური სწავლების სტრატეგიითაა აგებული და უზრუნველყოფს ამ ბლოკის სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების დაახლოებას B ბლოკის სტუდენტთა კომპეტენციებთან პირველი სემესტრის ბოლოს. სწავლების მეთოდები და სტრატეგიები ენის ინტენსიური სწავლების კონტექსტში განიხილება.

მეორე სემესტრში 6 სავალდებულო კურსია, რომელიც შემსწავლელის ენობრივი კომპეტენციების სხვადასხვა მიმართულების განვითარებას ემსახურება (კითხვა, წერა, მოსმენა-ლაპარაკი, ლექსიკა და გრამატიკა, ორთოეპია-მართლწერა); დამატებით, პროგრამაში შეტანილია ინტერკულტურული სწავლების კომპონენტი, რომელიც წარმოდგენილია კურსის - „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“-სახით და ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება . მე-6 კურსი - სამედიცინო ლექსიკური ერთეულები , - შემსწავლელთა პროფესიული არჩევანის გათვალისწინებით, გულისხმობს იმ ტერმინოლოგიის, დარგობრივი ლექსიკისა და სპეციფიკური კონსტრუქციების სწავლებას, რომლებიც კონკრეტულად მედიცინის მიმართულებისთვისაა დარგობრივი მახასიათებლებით ნიშანდობლივი.

ჯგუფების ფორმირებისთვის სტუდენტებს უტარდებათ გასაუბრება ქართულიენის ფლობის დონის დადგენის მიზნით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქართული ენის ცენტრში ხდება A და B ტიპის ჯგუფების ფორმირება,რაცსწავლისპროცესსუფრო დინამიურს, სტუდენტზე ორიენტებულსა და საინტერესოს ხდის.დონეების განსაზღვრა ხდება საქართველოს მთავრობის #394 დადგენილების საფუძველზე (დადგენილება #394, თარიღი: 30. 06. 2020).

ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა მოიცავს იმ კრიტერიუმთა ერთობლიობას, რომლითაც განისაზღვრება

ქართული ენის ფლობა მოსმენის, კითხვის, მეტყველებისა და წერის შესაბამისი დონის მიხედვით. დოკუმენტი შესრულებულია ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების რეკომენდაციათა საერთო ევროპული ჩარჩოს ექსდონიანი სისტემის – A1, A2, B1, B2, C1, C 2 – საფუძველზე.

A1 დონე

მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია ქართული მეტყველებიდან საერთაშორისო სიტყვების (მაგ., ოფისი, ინტერნეტი...) გაგება.

შემსწავლელს შეუძლია გარკვევით და ნელა წარმოთქმული მარტივი ტექსტიდან ნაცნობი სიტყვებისა და მარტივი ფრაზების გაგება.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ყოველდღიურ მეტყველებაში ხშირად გამოყენებული გარკვევით ნათქვამი მარტივი ლექსიკური ერთეულები (მაგ., დიახ, არა, გამარჯობა, ნახვამდის, ბოდიში).

კითხვა

შემსწავლელს შეუძლია ტექსტში ცალკეული სიტყვების გაგება.

შემსწავლელს შეუძლია საერთაშორისო სიტყვების შემცველი ძალიან მარტივი ტექსტის გაგება.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ბლანკი/სარეგისტრაციო ფორმა/კითხვარი, რომელიც ითხოვს ინფორმაციას მის შესახებ (მაგ., სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი, ოჯახური მდგომარეობა...).

შემსწავლელს შეუძლია აბრებზე დაწერილი მიმანიშნებელი ინფორმაციის გაგება (მაგ., სადგური, პარკი, შესასვლელი, გასასვლელი, შესვენება, ღიაა, დაკეტილია...).

შემსწავლელს შეუძლია მარტივი ტექსტის მთავარი არსის გაგება განსაკუთრებით მაშინ, თუ მას დართული აქვს ილუსტრაციები.

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს აფიშებზე, პოსტერებსა და აბრებზე დაწერილი ზოგიერთი ინფორმაცია და გაიგოს მათი ზოგადი შინაარსი. შემსწავლელს შეუძლია მოკლე, მარტივი შეტყობინების (მაგ., შეხვედრის დრო, ადგილი) გაგება.

მეტყველება

შემსწავლელს შეუძლია მარტივი სიტყვებით მისალმება, დამშვიდობება, თანხმობის, უარყოფის, თხოვნის, მობოდიშებისა თუ მადლიერების გამოხატვა (მაგ., გამარჯობა, ნახვამდის, დიახ, არა, ბოდიში, გთხოვთ, გმადლობთ...).

შემსწავლელს შეუძლია დაასახელოს მარტივი ციფრები.

შემსწავლელს შეუძლია მარტივად საუბარი თავის თავზე, თავისი ოჯახის შესახებ (მაგ., ვინ არიან მისი ოჯახის წევრები, მათი გარეგნობის მარტივად აღწერა...)

შემსწავლელს შეუძლია ახლობელი ადამიანების/საკუთარი საცხოვრებელი ადგილის, ასევე, საკუთარი საქმიანობის შესახებ მარტივად საუბარი. შემსწავლელს შეუძლია მარტივი ენით ახსნას ნაცნობი ობიექტის ადგილმდებარეობა, მასთან მისასვლელი გზა და საშუალება.

შემსწავლელს შეუძლია შეიძინოს/შეუკვეთოს პროდუქტები, ნივთები (მაგ., საჭმელი, სასმელი, ტანსაცმელი, ბილეთი...)

შემსწავლელს შეუძლია პასუხის გაცემა მარტივ შეკითხვებზე მარტივი სიტყვებით, გამოთქმებითა და სტანდარტული წინადადებებით.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი შეკითხვების დასმა (მაგ., რა არის, ვინ არის ეს /ის?)

წერა

შემსწავლელს შეუძლია ლექსიკონის, სახელმძღვანელოს, სავარჯიშო რვეულის დახმარებით რამდენიმე სიტყვისგან შემდგარი მარტივი წინადადების დაწერა.

შემსწავლელს შეუძლია ფოტოებზე/ნახატებზე აღბეჭდილი საგნის აღმნიშვნელი ძალიან მარტივი სიტყვების დაწერა (მაგ., ადამიანები, ცხოველები, ნივთები...).

შემსწავლელს შეუძლია ბლანკის, სასტუმროს სარეგისტრაციო ფორმის და მისთ. შევსება (სახელის, გვარის, ასაკის, ეროვნების, მისამართის... ჩაწერა).

B1 დონე

მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს საუბარი, როდესაც ელაპარაკებიან ნელა და გარკვევით ყოველდღიურობაზე, თუმცა, ზოგ შემთხვევაში მან შეიძლება სთხოვოს მოსაუბრეს, რომ გაუმეოროს ან განუმარტოს ესა თუ ის სიტყვა, ფრაზა, წინადადება.

შემსწავლელს შეუძლია იმ მარტივი საინფორმაციო შეტყობინებების გაგება, რომლებიც ეხება მის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყოველდღიურ საკითხებს; ამასთანავე, შეუძლია გამოყოს მათში ძირითადი აზრი და კონკრეტული დეტალები იმ შემთხვევაში, თუ მეტყველება არის მკაფიო ან მისთვის უკვე ნაცნობი.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ისეთი დისკუსიის ძირითადი შინაარსი, რომელიც ეხება ყოველდღიურ ცხოვრებას ან/და მისთვის ნაცნობ თემებს იმ შემთხვევაში, თუ ეს დისკუსია არ მიმდინარეობს სწრაფად და არასალიტერატურო ენით.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს დეტალური მითითებები (მაგ., ფიტნესინსტრუქტორის), რჩევები (მაგ., რომელი საინტერესო ადგილები მოინახულოს უცხო ქვეყანაში მოგზაურობისას), რეცეპტები (მაგ., საჭმლის მომზადების).

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მისთვის საინტერესო სატელევიზიო და რადიოგადაცემების (მაგ., ინტერვიუები, ახალი ამბები, ბუნების დაცვა, ცხოველთა სამყარო, სპორტული მიმოხილვა, კინოვარსკვლავები, რეკლამები...) მთავარი არსი და მნიშვნელოვანი დეტალები, თუ ტექსტი გადმოიცემა სალიტერატურო ენით, ნელა და გარკვევით.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მარტივი პრეზენტაციებისა და მოხსენებების შინაარსი, თუ ისინი მისთვის ნაცნობ თემებს ეხება კითხვა

შემსწავლელს შეუძლია სრულყოფილად გაიგოს ისეთი მარტივი ტექსტი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ მასალას მისთვის საინტერესო თემაზე. შემსწავლელს შეუძლია გაიგოს აქტუალურ თემებზე დაწერილი სტატიები (მაგ., ბუნების დაცვა, კულტურული ქრონიკა, მშენებლობა...), ინტერვიუები. შემსწავლელს შეუძლია გაიგოს განცხადებების შინაარსი იმ შემთხვევაში, თუ არ ხვდება რთული აბრევიატურები.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს პირადი წერილები, რომლებიც ეხება სხვადასხვა ურთიერთობას, გრძნობებსა და ემოციებს. შემსწავლელს შეუძლია გაიგოს საკვების შეფუთვაზე დაწერილი ინფორმაცია (მაგ., საკვების შემადგენლობა, მომზადების წესი...).

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს სხვადასხვა სახის მოკლე ინსტრუქცია (მაგ., ელექტროხელსაწყოების, ტელეფონის, ბანკომატის...), მარტივი ენით დაწერილი უსაფრთხოების წესები, რომლებიც განთავსებულია საზოგადოებრივ ტრანსპორტსა თუ ელექტრომოწყობილობებზე.

მეტყველება

შემსწავლელს შეუძლია მოუმზადებლად ჩაერთოს ისეთ საუბარში, რომელიც ყოველდღიურობას, საყოფაცხოვრებო თემებსა და მისი პირადი ინტერესის სფეროს ეხება (მაგ., მიმდინარე პროცესები, საყიდლების ღირებულება, გაიაფება, გამვირება, ფასდაკლება, ნივთების მოხმარების წესები, საყვარელი მუსიკალური ჯგუფები/მსახიობები/ფილმები/წიგნები...) და გამოთქვას საკუთარი აზრი.

შემსწავლელს შეუძლია არა მარტო მოყვეს რამე ამბავს, ფილმისა თუ წიგნის შინაარსს, არამედ მასთან დაკავშირებით გადმოსცეს საკუთარი მოსაზრებები. მას ასევე შეუძლია ისაუბროს ამა თუ იმ მოვლენის, შთაბეჭდილების, დაინტერესების/დაუინტერესებლობის, ემოციის (გაკვირვება, სიხარული, სევდა და მისთ.) შესახებ.

შემსწავლელს შეუძლია თანამიმდევრულად და მნიშვნელოვანი ნიუანსების გათვალისწინებით გადმოსცეს ისეთი მოვლენა თუ ფაქტი (მაგ., დაჯილდოების ცერემონია, საგზაო შემთხვევა...)

წერა

შემსწავლელს შეუძლია მოსმენის დროს ჩაინიშნოს, ჩაიწეროს მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

შემსწავლელს შეუძლია წერილობითი ფორმით აზრის თანამიმდევრულად ჩამოყალიბება მისთვის საინტერესო ან/და ნაცნობ თემებზე (მაგ., საინტერესო ადგილების, პროფესიული გამოცდილებისა და საქმიანი შეხვედრის შესახებ).

შემსწავლელს შეუძლია ფორმითა და შინაარსით სტანდარტული, ძალიან მოკლე, ინფორმაციული ხასიათის თემის წერა ყოველდღიურობასა და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

შემსწავლელს შეუძლია შეკრებილი ფაქტობრივი ინფორმაციის შეჯამება და საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება იმ შემთხვევაშიც კი, თუ თემა არ ეხება ყოველდღიურ საკითხებს.

შემსწავლელს შეუძლია პირადი წერილის დაწერა მნიშვნელოვანი მოვლენის ან საკუთარი ემოციების (მაგ., მოგზაურობის შთაბეჭდილება, საინფორმაციო ხასიათის ახალი ამბები, მეგობრებთან ურთიერთობა...) შესახებ.

პროგრამა დაყოფილია სასწავლო მოდულებად. პროგრამა მოიცავს 2 მოდულს (ქართული ენა 1, ქართული ენა 2), რომელიც აერთიანებს 12 (6+6) სასწავლო კურსს.

პირველი სემესტრის (ქართული ენა 1) მოდულის სასწავლო კურსებია:

1. ქართულიენის სამეტყველო ფუნქციები1(წერა)
2. ქართულიენის სამეტყველო ფუნქციები1(კითხვა)
3. ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები1(ლაპარაკი)

4. ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები1(მოსმენა)
5. ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები 1
6. ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა1

მეორე სემესტრის (ქართული ენა 2) მოდულის სასწავლო კურსებია:

1. ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (მედიცინა)
2. ზეპირმეტყველების სტრატეგიები
3. ტოლერანტობა და მრავალფეროვნება
4. ფუნქციური წერა
5. ქართული ენის მართლწერა და ორთოეპია
6. ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა (ზმნა)

პროგრამის კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად, რათა საფეხურებრივი პრინციპით, თანდათანობით მოხდეს იმ კომპეტენციების გამომუშავება და კვალიფიკაციის მიიღება, რომელსაც, ზოგადად, პროგრამადა, კერძოდ, მისიმიზან-შედეგები ითვალისწინებს.

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს:

- ქართული ენის სამეტყველო უნარები (35 კრედიტი);
- ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა (10 კრედიტი)
- მართლწერა და ორთოეპია (5 კრედიტი)
- ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები (5 კრედიტი)

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინტეგრირებული კურსი (5 კრედიტი).

პირველი სემესტრის მოდულში სტუდენტი 30 კრედიტს აგროვებს (სულ 6 სასწავლო კურსი, თითოეული– 5 კრედიტი.). პირველ სემესტრის მოდულში თითოეული სასწავლო კურსისთვის პრაქტიკული და დამოუკიდებელი სამუშაოსთვის განსაზღვრული საათები განაწილებულია შემდეგნაირად (იხ. დანართი 2 - საათობრივი ბადე):

- საკონტაქტო-75სთ.
- დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი-135 სთ.
- საერთო ჯამში-210 სთ.

მეორე სემესტრის მოდულში სტუდენტი აგროვებს 30 კრედიტს (6 სასწავლო კურსი, თითოეულის მოცულობა - 5 კრედიტი). თითოეული კურსის თვის პრაქტიკული და დამოუკიდებელი სამუშაოსთვის განსაზღვრული საათები განაწილებულია შემდეგნაირად (იხ.დანართი-2საათობრივიზაღე):

- საკონტაქტო-75 სთ.
- დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი -165 სთ.
- საერთო ჯამში-240 სთ.

ორივე სემესტრში მოდულების სწავლება მიმდინარეობს თანმიმდევრულად “მარტივიდან-რთულსკენ”. გარდა ამისა, ენის სწავლების პრინციპებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ორივე სემესტრის მოდულში გათვალისწინებული სასწავლო კურსები შეინაარსობრივად და მეთოდოლოგიურად ავსებს ერთმანეთს.

თითოეული კურსის დეტალური აღწერა, სწავლების მეთოდები, კომპეტენციები, მიზნები და შეფასების სისტემა მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 52-ე მუხლის თანახმად პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, რომელსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვს ერთ-ერთი შემდეგი ტესტი:

- ა) ზოგადი უნარების ახერბაიჯანულენოვანი ტესტი;
- ბ) ზოგადი უნარების სომხურ ენოვანი ტესტი;
- გ) ოსური ენის ტესტი;
- დ) აფხაზურ ენის ტესტი;

აბიტურიენტმა პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აღნიშნულ გამოცდებზე უნდა გადალახოს კომპეტენციის მინიმალური ზღვარი.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

ჯგუფში სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა არ აღემატება შვიდ სტუდენტს.

1. კურსი აგებულია PBL მეთოდით, არის ინტერაქციული და სტუდენტზე ორიენტირებული, რაც სწავლის პროცესში სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას გულისხმობს.

2. გამოიყენება ენის სწავლების ორი ძირითადი მეთოდი: პირდაპირბუნებრივი და აუდიო ენობრივი მეთოდი.
3. სწავლების მეორე სემესტრში, სტუდენტები იწყებენ დარგობრივ (სამედიცინო და მისი მომიჯნავე) ლიტერატურაზე მუშაობას და სპეციფიკური, თუმცა ზოგადი ფრაზეოლოგიისა და ტერმინოლოგიის შესწავლას, რაც სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებად მნიშვნელოვან და აუცილებელ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას სძენს მათ.
 - არ გამოიყენება შუალედური ენა. სწავლება მიმდინარეობს ექსკლუზიურად სამიზნე ენაზე.
 - სწავლებისას გამოიყენება პანტომიმა, ჟესტიკულაცია, რეალური ობიექტები და ვიზუალური მატერიები.
 - გრამატიკა ისწავლება ინდუქციური მეთოდით (სტუდენტი სწავლობს გრამატიკულ ენობრივ ფორმებს მათი პრეზენტაციებით);
 - სამეტყველო ენა არის ცენტრალური (მათ შორის გამოთქმა);
 - ყურადღება გამახვილებულია კითხვა-პასუხის ფორმებზე;
 - კონკრეტული ლექსიკა ისწავლება ობიექტთა დემონსტრირების მეშვეობით. აბსტრაქტული ლექსიკა ისწავლება ასოციაციური იდეებით;
 - მეტყველების და მოსმენის უნარები ისწავლება ერთდროულად;
 - სწორი გამოთქმა და გრამატიკული კონსტრუქციები არის მნიშვნელოვანი;

4. კურსების და მათი მიზნების შესაბამისად, გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები:

ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, გონებრივი იერიში

უვითარებს კომუნიკაციის უნარს, ეხმარება ლექსიკისა და არსებული თეორიული ცოდნის გამდიდრებაში.

- **შემთხვევის ანალიზი**- სტუდენტს უვითარებს კრიტიკული და სინთეზური აზროვნების უნარებს. ეხმარება თემატური ლექსიკის გამდიდრებაში.
- **მოდელირებული სიტუაციები და როლური თამაშები**-როლის მორგება წინასწარ, თემატურად შერჩეული სიტუაციის შესაბამისად, სტუდენტს უვითარებს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს.
- **წიგნზე მუშაობის უნარი**- პროგრამის ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი სტუდენტები ეუფლებიან წიგნზემუშაობის და კითხვის მრავალფეროვან სტრატეგიებს (დამარცვლით, ჩუმად, სწრაფად, ხმამაღალი კითხვა; კურსორული, სელექციური, შემეცნებითი სტრატეგიები), სასწავლო მოდულებისა და ენის ფლობის დონის შესაბამისად, პედაგოგი სტუდენტებს (ინდივიდუალურად/ჯგუფურად) ურჩევს სხვადასხვა სირთულისა და სტილის ტექსტებს. სწავლობენ სხვადასხვა ტიპის ლექსიკონზე მუშაობას. მეორე

სემესტრში, სტუდენტები იწყებენ სპეციალიზებული (ბიოლოგია, ანატომია) ლიტერატურის კითხვას, მათ ენობრივ გააზრებას და სწავლობენ სამედიცინო ლექსიკურ ერთეულებს.

- **ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციები** - სტუდენტებს უვითარებს ეფექტური პრეზენტაციების აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარებს.
- **წერილობითი დავალებები**- სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიუმჯობესოს წერილი უნარები. ლექსიკური მარაგისა და თეორიული ცოდნის შესაბამისად, წერილობით გადმოსცეს საკუთარი აზრი ამა თუ იმ საკითხზე. ასევე, სტუდენტი ეუფლება ფუნქციური წერის (განცხადება, ახსნა-განმარტებითი ბარათი და ა.შ.) უნარებს.
- **ე.წ. Peer Review (ურთიერთშეფასება)**- პედაგოგი სტუდენტებს სთავაზობს სხვა სტუდენტს/ებს გაუსწოროს წერილობითი ან ზეპირი მეტყველებისას დაშვებული შეცდომები (არ იგულისხმება რედაქტირება). ასევე, მასალა, რომელიც სტუდენტმა კარგად და სრულად აითვისა, აუხსნას სხვა სტუდენტს, რომელსაც ამავე მასალის გაგებასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები ჰქონდა. მსგავსი აქტივობები, სტუდენტს ეხმარება ცოდნის გამყარებაში, თვითშეფასებაში, საკუთარი საჭიროებების განსაზღვრასა და საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვა-მართვაში. გარდა ამისა, სტუდენტს ეხმარება გახდეს უფრო ემპათიური და ტოლერანტი სხვებთან მიმართებაში.
- **კინოჩვენებები**- სწავლების მეორე სემესტრში სტუდენტებისთვის ეწყობა საერთო ჯგუფური კინოჩვენებები. სტუდენტები უყურებენ როგორც ქართულ, ასევე ქართულად თარგმნილ მათთვის ნაცნობ ფილმებს. ფილმის ჩვენების შემდეგ იმართება დისკუსია. ეს მეთოდი სტუდენტს ეხმარება გაიუმჯობესოს მოსმენა-გაგების უნარები და ლექსიკური მარაგი, უვითარებს მიღებული ინფორმაციის სინქრონული ანალიზისა და სწრაფი უკუკავშირის უნარებს.
- **კლასგარეშე აქტივობები**: პედაგოგი სტუდენტს ურჩევს ხვადასხვა ტიპის დავალებებს: ეს შეიძლება იყოს დღიურის წარმოება, საინფორმაციო გადაცემების მოკლე ჩანაწერები, დამატებითი ლიტერატურის კითხვა. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს სწავლის უწყვეტობას არდადეგების პერიოდში.
- გარდა ამისა, ქართული ენის ცენტრი ხელს უწყობს სტუდენტთა სოციალურ ან კულტურულ ინიციატივებს (ლონისძიება, გასვლითი აქტივობები და სხვა).

მოსამზადებელი კურსის კურსდამთავრებულთა შეხვედრა და გამოცდილების გაზიარება- მოსამზადებელი კურსის დასრულების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე ჩარიცხული წარმატებული სტუდენტები შეხვედრებს

აწყობენ მოსამზადებელი კურსის სტუდენტებთან და უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, პასუხობენ კითხვებს; აღნიშნული შეხვედრები, მოსამზადებელი კურსის სტუდენტებს ეხმარება სწავლის პროცესის სწორად დაგეგმვასა და მოტივაციის ზრდაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი შეესაბამება საქართველოში სათანადო მარეგულირებელი წესების და თსსუ-ის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის შესახებ. ითვალისწინებს გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. სტუდენტის შეფასების კომპონენტებია შუალედური და დასკვნითი შეფასებები, რომელთა ჯამი განსაზღვრავს სტუდენტის საბოლოო შეფასებას.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა. ითვალისწინებს შუალედურ შეფასებას, რომელიც წარმოადგენს სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების მეთოდების/ნაწილების (დასწრება, სტუდენტის ყოველდღიური აქტივობა, კოლოკვიუმი, პრეზენტაცია და სხვა) მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამს 60 ქულის ფარგლებში და დასკვნითი გამოცდის შეფასებას 40 ქულის ფარგლებში.

დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასების ჯამით შეიძლება დაუგროვდეს 51 ქულა.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია (შუალედური შეფასებების და დასკვნითი შეფასების ჯამი). შეფასების სისტემა სტუდენტის მიერ მიღებული ყველა კომპონენტით ითვალისწინებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

A) ფრიადი - 91-100 ქულა.

(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა.

(C) კარგი - 71-80 ქულა.

(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა.

(E) საკმარისი - 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამა სტრუქტურირებულია მოდულებად, რომელიც აგებულია სასწავლო კურსებისაგან. თითოეული სასწავლო კურსი შუალედურად ფასდება დამოუკიდებლად (იხ. ასევე ქვემოთ). ენის ფლობისა და ცოდნის შეფასების სპეციფიკიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, კოლოკვიუმები და საბოლოო სემესტრული გამოცდა გაერთიანებულია ყველა კურსისთვის (ანუ მოდულში) და ტარდება კომბინირებულად (წერთი (კითხვა-წერის უნარები) და ზეპირი (მოსმენა-გაგების უნარები) სახით).

3. სემესტრის დასრულებისას სტუდენტი იღებს ერთ შეფასებას.

4. სასწავლო კურსის შეფასება ხდება შუალედური შეფასებების სახით. თითოეული კურსი ფასდება 60 ქულით. კურსისთვის შუალედური შეფასებამოიცავს შემდეგ მეთოდებს/ნაწილებს:

- ა) აკადემიური აქტივობა - 15 ქულა
- ბ) წერთი დავალებები - 15 ქულა
- გ) ზეპირი დავალებები/ქუიზი - 5
- დ) ე.წ. Peer Review (ურთიერთშეფასება) - 5 ქულა
- ე) კოლოკვიუმი - 20 ქულა (2 X 10 ქულა)

თითოეულ სასწავლო კურსში აკადემიური მოსწრების შეფასების სიზუსტისა და გაადვილებისათვის ცალკეულ კურსში სტუდენტი ფასდება 60 ქულის ფარგლებში (შუალედური შეფასება); კურსის ბოლოს კი მიღებული შეფასება მრავლდება კოეფიციენტზე 0.25 (ფორმულით: $1 \text{ კურსის } 60 \text{ ქულა} = 1, \frac{1}{4} \text{ კურსის ქულა (მოდულის შემადგენლობაში)} = 1:4 = 0.25$).

მაგალითად, თუ სტუდენტმა სემესტრში სასწავლო მოდულის (ოთხი კურსი) ფარგლებში ჯამურად დააგროვა 180 ქულა, საბოლოო სემესტრულ გამოცდამდე მისი ნიშანი გამოითვლება შემდეგი ფორმულის მიხედვით: $180 \times 0.25 = 45$.

დასკვნითი გამოცდა არის კომბინირებული ზეპირი და წერთი კომპონენტებით (ორივე სავალდებულოა). გამოცდა ფასდება 40 ქულით. წერთი კომპონენტი აერთიანებს წერის, კითხვისა და პრაქტიკული გრამატიკის კომპეტენციებს და ფასდება 30 ქულით, ზეპირი კომპონენტი კი მოიცავს კომუნიკაციის და მოსმენა-გაგების უნარებს და ფასდება 10 ქულით.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელიც მოდულში ჯამურად (კოეფიციენტის გათვალისწინებით, იხ. ზემოთ) დააგროვებს მინიმუმ 27 ქულას, ე.ი. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს მინიმალური შუალედური შეფასებისა და მინიმალური საგამოცდო შეფასების მიღების შემთხვევაში შეიძლება დაუგროვდეს 51 ქულა.

დასკვნითი გამოცდის შეფასება დადებითია სტუდენტის მიერ 24 და მეტი ქულის მიღების შემთხვევაში. შესაბამისად, თითოეული

კურსისთვის მინიმალური ბარიერული ქულა არის 4. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე ვერ გადალახავს ბარიერს ერთ-ერთ კურსში, განმეორებით გამოცდას ხელახლა აბარებს მთლიან მოდულში (ყველა კურსისთვის); სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა. თუ სტუდენტი განმეორებით გამოცდაზე ვერ მიიღებს დადებით შეფასებას, მას მოდულის თავიდან გავლა მოუწევს.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულმა/-იცის/აქვს:

- ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ძირითადი საკითხები;
- ქართული ენის ლექსიკური მარაგი;
- ფლობს ზოგად დარგობრივ (სამედიცინო და მისი მომიჯნავე სფეროების) ლექსიკას და ფრაზეოლოგიას, რაც მნიშვნელოვანია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მათ მიერ არჩეულ პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად;

უნარები

კურსდამთავრებულს შეუძლია/აქვს:

- ქართული ენის პრაქტიკული გამოყენება წერილობითი კორესპოდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის;
- ქართულ ენაზე ხვადასხვა ტიპის ტექსტის მოსმენის, გაგების, შეფასების, ანალიზისა და თარგმნის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუცირების უნარი;
- დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში ქართულ ენაზე ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი;
- ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა გათვალისწინებით, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარი;
- დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული აფასებს იცნობს

- ქართულ ენას, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენას, რაც მას მოქალაქეობრივი შეგნების განმტკიცებაში ეხმარება;
- სტუდენტი იცნობს/ადიარებს კულტურულ მრავალფეროვნებას და მის მნიშვნელობას თანამედროვე წარმატებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში;

კურსდამთავრებულს აქვს:

- საკუთარი სწავლის პროცესის მართვისა და საჭიროებების განსაზღვრის უნარი. შეუძლია: მასალის დაგეგმვა და ორგანიზება, დავალების ეტაპების გამოყოფა და შესრულების სტრატეგიების სწორად დაგეგმვა.

სწავლის შეფასების დეტალური რუკა იხ. დანართი 1

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქართული ენის ცენტრის მოწვეული მასწავლებლები.

სწავლისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში პროგრამას ახორციელებს ქართული ენის ცენტრი. სტუდენტთა სასწავლო რესურსები და სამუშაო მასალები ინახება ქართული ენის ცენტრში მეცადინეობის ჩასატარებლად გამოყოფილ სპეციალურ კაბინეტებში, ასევე, თსსუ-ის ბიბლიოთეკაში. 2019-2020 სასწავლოწლიდან გამოიყენება ელექტრონული სწავლების პორტალი (schoolology.com). პორტალზე ინტერნეტ წვდომა შესაძლებელია ნებისმიერი ადგილიდან, როგორც უნივერსიტეტის სასწავლო სივრცეში (ბიბლიოთეკა, კომპიუტერების დარბაზი), ასევე უნივერსიტეტის მიღმა. პორტალზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ, პროგრამაში ჩართულ სტუდენტებს ეძლევათ თავისუფალი და შეუზღუდავი წვდომა ელექტრონულ სასწავლო მასალებზე.

დასაქმების სფერო

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულები აგრძელებენ სწავლას უმაღლესი სასწავლებლის საბაკალავრო/ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე ნებისმიერი სპეციალობით, შეუზღუდავად. გარდა ამისა, სახელმწიფო ენის ცოდნა არის მათი დასაქმების წინაპირობა მათთვის საინტერესო სფეროში.

პროგრამის სტრუქტურა

დანართი 1.

კომპეტენციის სფერო	I სემესტრი	II სემესტრი
კითხვა	<p>სტუდენტს შეუძლია;</p> <ul style="list-style-type: none"> • გამართულად კითხვა (ნელა, დამარცვლით, ჩუმად, ხმამაღლა); • ლექსიკონების გამოყენება; • სპეციფიკური ბგერების სწორად წარმოთქმა; • წაკითხული მარტივი და საშუალო სირთულის ტექსტის მთავარი აზრის გაგება ლექსიკონის გამოყენებით; • განასხვავებს სხვადასხვა ხასიათის და ტიპის ტექსტებს; 	<p>სტუდენტი იცნობს/ფლობს:</p> <ul style="list-style-type: none"> • კითხვის სხვადასხვა სტრატეგიას (კურსორული, სელექციური, შემეცნებითი); • სათანადო ლექსიკასა და გრამატიკულ ცოდნას სხვადასხვა ტიპის, მათ შორის - დარგობრივი ტექსტების წასაკითხად და გასააზრებლად; <p>სტუდენტს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • თვალი გადაავლოს დიდი მოცულობის ტექსტებს და გამოყოს მნიშვნელოვანი დეტალები. • სხვადასხვა ხასიათის და ტიპის (მათ შორის დარგობრივი) ვრცელი ტექსტების დეტალურად გაგება. • სამედიცინო (და მომიჯნავე დარგების) ლიტერატურის (ანატომია, ბიოლოგია) გაგება, გაანალიზება და გადმოცემა. • ტერმინოლოგიური ლექსიკონის დახმარებით ისეთი სპეციფიკური სტატიების გაგება, რომელიც სცილდება მისი საქმიანობის სფეროს.

კომპეტენციის სფერო	I სემესტრი	II სემესტრი
წერა	<p>სტუდენტი იცნობს / ფლობს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ორთოეპიის ძირითად ნორმებს; • სწორი მარლთწერის უნარებს; • ქართული ენის საბაზისო ლექსიკასა და გრამატიკულ ცოდნას (მორფოლოგია, სინტაქსი), მარტივი შინაარსის წერილობითი ტექსტების შესაქმნელად; • ლექსიკოლოგიის ზოგადი მახასიათებლების საერთო ნიშნებს; <p>სტუდენტს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საკუთარი აზრის გამოხატვა წერილობითი სახით მარტივი წინადადებების საშუალებით (საბაზისო ლექსიკისა და გრამატიკული ცოდნის გამოყენებით); • ენობრივი საშუალებების ფუნქციურად გამოყენება; • წაკითხული ტექსტის შინაარსის წერილობით გადმოცემა; • მოკლე საინფორმაციო ტექსტების შექმნა; 	<p>სტუდენტი იცნობს/ფლობს:</p> <ul style="list-style-type: none"> • წერის სტრატეგიებს; • ქართული ენის სტრუქტურას (მორფოლოგია, სინტაქსი); <p>სტუდენტს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • კარგად ჩამოყალიბებული ფუნქციური და სხვა ტიპის ტექსტების შექმნა, ენის ნორმების დაცვით, შესაბამისი ლექსიკისა და გრამატიკული ცოდნის გამოყენებით; • მოსმენილი ინფორმაციის შინაარსის გამართულად, სისტემურად, თანმიმდევრულად და დეტალურად ჩამოყალიბება წერილობითი სახით;
ლაპარაკი	<p>სტუდენტი იცნობს / ფლობს:</p> <ul style="list-style-type: none"> • საუბრის წარმართვის ტექნიკებს; • მარტივ საკომუნიკაციო/საყოფაცხოვრებო სიტუაციებში საუბრის წარმართვისთვის საჭირო საბაზისო ლექსიკას, ფრაზეოლოგიას და 	<p>სტუდენტი იცნობს / ფლობს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქართული ენის გრამატიკისა და საბაზისო ლექსიკას ქართულ ენაზე ეფექტური ზეპირი კომუნიკაციის წარსამართად.

	<p>გრამატიკულ ცოდნას;</p> <ul style="list-style-type: none"> • თავაზიან ფორმებს და სიტუაციის ადეკვატურად იყენებს მათ; <p>სტუდენტს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსმენილის/წაკითხულის მარტივი/საშუალო სირთულის ტექსტების მთავარი აზრის გაგება და შინაარსის გადმოცემა მარტივი ენობრივი კონსტრუქციების გამოყენებით; • მისთვის ნაცნობი თემების გარშემო საუბრის წარმართვა მომზადების გარეშე, მარტივი ენობრივი კონსტრუქციების გამოყენებით; • წინასწარი მომზადების შემთხვევაში, მისთვის უცნობი თემის გარშემო საკუთარი აზრის/დამოკიდებულების გამოხატვა; • სპეციფიკური ქართული ბგერების სწორად წარმოთქმა; • მოსაუბრის ემოციის / ტონის / დამოკიდებულების სწორად შეფასება; 	<p>სტუდენტს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საკუთარი აზრის, ემოციის, შთაბეჭდილების, დამოკიდებულების გამოხატვა სხვადასხვა საკითხის / მოვლენის მიმართ; • მოსმენილი / წაკითხული / ნანახი ინფორმაციის მთავარი აზრის გადმოცემა და შინაარსის მოყოლა გამართულად და ნათლად, შესაბამისი ენობრივი ნორმების დაცვით. ასევე, მიღებულ ინფორმაციაზე საკუთარი მოსაზრების გადმოცემა.
<p>მოსმენა-გაგება</p>	<p>სტუდენტი იცნობს / ფლობს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსმენის სტრატეგიებს • ქართული ენის საბაზისო თემატურ ლექსიკურ მარაგს. 	<p>სტუდენტი იცნობს/ფლობს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სათანადო ლექსიკასა და გრამატიკულ ცოდნას ზოგადი და დარგობრივი ტექსტების გასაგებად. <p>სტუდენტს შეუძლია:</p>

	<p>სტუდენტს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საუბრის/ჩანაწერის შინაარსის გაგება, თუ მოსაუბრე საუბრობს აუჩქარებლად, გამოკვეთილად, სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით, თუმცა მარტივი კონსტრუქციის წინადადებების გამოყენებით. • საუბრის / ჩანაწერის შინაარსის გაგება მისთვის ნაცნობი თემების გარშემო. (მარტივი კომუნიკაციური სიტუაციები) • მოსაუბრის/საუბრის ტონისა და განწყობის ადეკვატურად აღქმა-გაგება. 	<ul style="list-style-type: none"> • შინაარსობრივად და ენობრივად რთული ინფორმაციის (ჩანაწერი/ცოცხალი) მოსმენა და გააზრება (მაგ. ლექცია, ფილმი, სატელევიზიო გადაცემა), შინაარსის გაგება, მთავარი აზრის გამოტანა, თუ სასაუბრო თემა მისთვის ნაცნობი საქმიანობის სფეროს ეხება. • დარგობრივი ტექსტების მოსმენა გააზრება. • სასაუბრო მეტყველებისას სალიტერატურო ენის სირთულის მიუხედავად მოსაუბრის/საუბრის ტონის, განწყობის, დამოკიდებულებების სწორად და ადეკვატურად განსაზღვრა.
--	--	---

პროგრამის სტრუქტურა

N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					გამოცდის ფორმატი / ჩატარების ადგილი	სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/მასწავლებელი
				ლექცია	სემინარი / სამუშაო	პრაქტიკული	ლაბორატორია	დამოუკიდებელი			სუს	შემოდგომის	
			30	საკონტაქტო									
1		ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები (1)	5		15	60	135	210	კომბინირებული/ ქართული ენის ცენტრი	ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ფოგადი უნარების ტესტირების მშობრიულ ენაზე ჩაბარება			დ.კუხიანიძე თ.კანთელაძე ე.ბარამაშვილი თ.გოგოლაური
2		ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (კითხვა 1)	5			75	135	210	კომბინირებული/				ნ.დათიაშვილი
3		ქართული ენის სამეტყველო უნარები (წერა1)	5			75			ქართული ენის ცენტრი				ც.დვალი
4		ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა 1)	5			75	135	210	წერიტი/ ქართული ენის ცენტრი				ც.ქირია ქ.ქოჩიაშვილი მ.შენგელია
5		ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ლაპარაკი 1)	5										
6		ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1	5			75	135	210	წერიტი / ქართული ენის ცენტრი				ლ.შალვაშვილი

N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					გამოცდის ფორმატი / ჩატარების ადგილი	სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/მასწავლებელი
				საკონტაქტო				დამოუკიდებელი			სულ	შემოდგომის	
				ლექცია	სემინარი / სამუშაო	პრაქტიკული / ლაბორატორია							
1		ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (მედიცინა)	5		15	60	135	210	კომბინირებული/ ქართული ენის ცენტრი	ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების ტესტირების მშობრიულ ენაზე ჩაბარება			დ.კუხიანიძე თ.კანთელაძე ე.ბარამაშვილი თ.გოგოლაური ნ.დათიაშვილი ც.დვალი ც.ქირია ქ.ქოჩიაშვილი მ.შენგელია ლ.შალვაშვილი
2		ზეპირმეტყველების სტრატეგიები	5			75	135	210	კომბინირებული/				
3		ტოლერანტობა და მრავალფეროვნება	5			75			ქართული ენის ცენტრი				
4		ფუნქციური წერა	5			75	135	210	წერიტი/ ქართული ენის ცენტრი				
5		ქართული ენის მართლწერა და ორთოეპია	5										
6		ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა (ზმნა)	5			75	135	210	წერიტი / ქართული ენის ცენტრი				